განკარგულება:**გ-49. 49241702**
თარიღი:**18/06/2024**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის გ-49.49240547 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 ივნისის №48-48-2416983 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 23 თებერვალს, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ გამოიცა გ-49. 49240547 განკარგულება.

ვინაიდან, კონტრაქტით გათვალისწინებული თანხები დონორის მიერ ჩაკორექტირდა (შემცირდა მხოლოდ პარტნიორების წილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წილი დარჩა იგივე), რამაც გამოიწვია ჯამურად გამოყოფილი საგრანტო თანხის შემცირება, გთხოვთ, რომ უზრუნველყოთ აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილების შეტანა ქვემოთ მოცემული მონაცემების გათვალისწინებით:

პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის (Smart4Rural)“ განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა მიიღოს გრანტი - 1304693,19 (მილიონ სამას ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაცამეტი ევრო და ცხრამეტი ცენტი) ევროს ოდენობით, რაც შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 90%-ს, ხოლო პროექტის მთლიანი ბიუჯეტია - 1449659.11 ევრო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება- „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო

თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 თებერვლის გ-49.49240547 განკარგულების პრეამბულაში და პრეამბულაში მითითებული თანხები შეიცვალოს შემდეგი სახით: ნაცვლად თანხისა--- 1335605,47 (მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ხუთი ევრო და ორმოცდაშვიდი ცენტი) ევრო, ჩაიწეროს თანხა - 1304693,19 (მილიონ სამას ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაცამეტი ევრო და ცხრამეტი ცენტი,) ევრო, ხოლო ნაცვლად თანხისა 1484006.11 ევრო ჩაიწეროს თანხა 1449659.11 ევრო.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე